შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№612(U)/ 08. 02. 2017 წ.

გეოლოგიის შეფასება

ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №32ა, საკადასტრო კოდი №01.14.14.005.075 შპს "ს-1"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის ფართზე პროექტის მიხედვით ორ ბლოკიანი კორპუსის მშენებლობისათვის გეოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასება

თბილისი

2017 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, , ჭავჭავაძის გამზირი №32ა-ში, შპს "დემაქს ბაგები"-ს წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გამოკვლეული და შესწავლილი გეოლოგიური ნაწილის შესაფასებლად. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე.

პირველ რიგში შევისწავლილ იქნა ინჟინერ-გეოლოგის მიერ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც წარმოდგენილია კვლევაში. წარმოდგენილი გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაყარი ფენის შემდგომ გვხდება მოყავისფრო თაბაშირიანი თიხნარები და არგილიტების შრე, რის შემდგომ ძირითად თიხები, რომლის სიმტკიცის კოეფიციენტი (R_c-1.80 კგ.ძ/სმ^2) მოცემულ პროექტთან მიმართებაში წარმოდგენილი საანგარიშო წონა და ლაბორატორიული მონაცემები საკმარისად მისაღები და საანგარიშოდ დამაკმაყოფილებელია (ფენა №4). აღნიშნული კორპუსი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გეგმაში მრავალკუთხა ფორმისაა საშუალო სირთულის და მოცემული გეოლოგიური პირობები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით დაგეგმარებულ იქნას კონსტრუქციული ნაწილი, საძირკვლები და მზიდი კონსტრუქციული ელემენტები. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ უბანზე გავრცელებულია ძირითადად თიხნარები, სადაც 6.00 მეტრის ნიშნულზე გხვდება მცირედი რაოდენობით გრუნტის წყლები, რაც შეესაბამება სინამდვილეს და მოცემული კოეფიციენტები აღებულია მართებულად. წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები შეესაბამება ნორმებს და სამუშაოები განხორციელებულია ჯეროვნად.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით მოცემული პროექტის მიხედვით დასაძირკვლება უნდა განხორციელდეს 4 ფენაზე, სადაც დასაშვებია მაღალი შენობისათვის ხიმინჯის ტიპის საძირკველი სულფატოვანი ბეტონით, ხოლო დაბალ ბლოკზე მონოლითური ფილა, ვინაიდან მოცემულ ტერიტორიაზე გავრცელებულია მასიური სახით



რბილპლასტიკური თიხები. გეოლოგიური პირობების მიხედვით მოცემული კოეფიციენტები სრულიად არის შესწავლილი და გამოკვლეული, რასაც ვეთანხმებით და ვადასტურებთ გამოკვლეული შედეგების მიხედვით.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც განხილულ იქნა გეოლოგიური მონაცემები, შესრულებულია ჯეროვნად და აკმაყოფილებს წარმოდგენილ მდგომარეობას, რომელიც შესრულებულია ადგილზე აღებული სინჯების საფუძველზე. აქედან გამომდინარე გეოლოგიური მონაცემები და მასში მოცემული საანგარიშო კოეფიციენტები საკმარისად დამაკმაყოფილებელია მოცემული საპროექტო სამუშაოების განხორციელებისათვის.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

ინჟინერ-გეოლოგი გ. ტატინაშვილი